სრულყოფილი რწმენა აქვთ იმ მორწმუნეებს, რომლებიც გამოირჩევიან საუკეთესო ხასიათით, ხოლო თქვენგან საუკეთესონი არიან ისინი, ვინც საუკეთესოდ ეპყრობა საკუთარ ქალებს

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სრულყოფილი რწმენა აქვთ იმ მორწმუნეებს, რომლებიც გამოირჩევიან საუკეთესო ხასიათით, ხოლო თქვენგან საუკეთესონი არიან ისინი, ვინც საუკეთესოდ ეპყრობა საკუთარ ქალებს».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ სრულყოფილი რწმენის მქონე ხალხი ისინი არიან, ვისაც კარგი ზნეობა აქვთ. ეს აისახება ღიმილიან სახეზე, სიკეთის გაცემაზე, კარგ სიტყვებზე და ზიანის მიყენებისგან თავის შეკავებაზე. მორწმუნეთა შორის საუკეთესო ისაა, ვინც ყველაზე კარგად ექცევა თავის ქალებს: ცოლს, ქალიშვილებს, დებს, ნათესავ ქალებს, რადგან ისინი ყველაზე მეტად იმსახურებენ კარგ მოპყრობას.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5792